საბჭოთა ფეხბურთელები – საზღვარგარეთ
“დინამო” (თბილისი) – “გურნიკ” (ზაბჟე) – 4:0

თბილისის “დინამოს” ოსტატ ფეხბურთელთა გუნდმა მეორე ამხანაგური შეჯიბრება პოლონელ ფეხბურთელებთან ჩაატარა 4 ნოემბერს სილეზიაში, ქალაქ ზაბჟეში. ამ დღეს თბილისელები შეხვდნენ სპორტული საზოგადოება “გურნიკის” (“მეშახტის”) ზაბჟეს გუნდს, რომელსაც მეორე ადგილი უკავია პოლონეთის პირველობის გათამაშებაში. დინამოელები მოედანზე გამოვიდნენ ძირითადი შემადგენლობით, “გურნიკი” გაძლიერებული იყო სპორტსაზოგადოების სხვა გუნდების მოთამაშეებით, რომელთა შორის იყო პოლონეთის ერთ–ერთი უძლიერესი თავდამსხმელი ანიოლა.

შეხვედრა დაიწყო პოლონელთა მძაფრი იერიშით, რომელიც კინაღამ გოლით არ დამთავრდა: მარღანიამ მოხდენილი ნახტომით უკუაგდო კარში დარტყმული ბურთი.

მალე თბილისელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა, რაც თამაშის პირველი ნახევრის დასასრულამდე ხელიდან არ გაუშვიათ. დინამოელები განუწყვეტლივ უტევდნენ მოწინააღმდეგეთა კარს, მათ არა ერთი ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს, მაგრამ პირველი ნახევარი უშედეგოდ დამთავრდა: ჯოჯუას, გაგნიძის, ვარდიმიადის, ღოღობერიძის და ჭკუასელის დარტყმები ხშირად სცილდებოდა კარს. გარდა ამისა, კარგად თამაშობდა პოლონელთა დაცვა, განსაკუთრებით კი მეკარე ბუნდი, რომელმაც რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო.

მეორე ნახევარი დინამოელთა მძაფრი იერიშებით დაიწყო. “გურნიკის” ფეხბურთელები ენერგიულად იცავდნენ თავს. 64–ე წუთზე ჯოჯუა გაიჭრა “გურნიკის” კარისაკენ, მაგრამ პოლონელმა დამცველებმა მას ბურთი წაართვეს. წუთიც არ გასულა, რომ ჯოჯუამ მარჯვენა ფრთიდან საჯარიმო მოედანზე ჩააწოდა ბურთი, რომელიც ვარდიმიადიმ შეუჩერებლივ, ლამაზი დარტყმით “გურნიკის” კარში მოათავსა. 1:0 – თბილისელთა სასარგებლოდ.

დინამოელები უფრო აძლიერებენ შეტევას. 70–ე წუთზე გაგნიძემ მოხდენილად მოატყუა “გურნიკის” მცველი პეტლიკი და მეორე ბურთი გაიტანა. 9 წუთის შემდეგ ვარდიმიადიმ კვლავ გაადიდა ანგარიში.

თამაშის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე ჭკუასელმა კიდევ ერთი ბურთი გაიტანა “გურნიკის” კარში და შეხვედრა დამთავრდა თბილისის “დინამოს” ფეხბურთელთა გამარჯვებით – 4:0.

თბილისელებმა მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარეს ეს საპასუხისმგებლო შეხვედრა. თავდამსხმელების გარდა კარგი თამაშით გამოირჩეოდნენ ნახევარმცველები ანთაძე და პანიუკოვი. დაცვაში განსაკუთრებით ძლიერად ითამაშა ძიაპშპამ, რომელმაც საიმედოდ “ჩაკეტა” ანიოლა.

9 ნოემბერი 1951 წ.